



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მომშენებლობა სასოფლო-სამეურნეო ცხოველისა

მომშენებლობა სასოფლო-სამეურნეო ცხოველისა, მეცნიერება, რომელიც შეისწავლის სასოფლო-სამეურნეო ცხოველების, ფრინველებისა და სამეურნეო სასარგებლო მწერების გამრავლების, მათი მემკვიდრეობითი თვისებების გაუმჯობესების, არსებული ჯიშების გენეტიკური სრულყოფის, ახ. მაღალპროდუქტიული ჯიშების, ხაზებისა და სამრეწველო ჰიბრიდების, შეჯვარებით გამოყვანის პროცესის მართვის საკითხებს. **მ. ს.-ს. ც.** ბოლოტეჩნიკური მეცნიერების ნაწილია, ემყარება ცხოველთა სახეობებსა და ჯიშებში მიმდინარე გენეტ. პროცესების ბიოლ. ცოდნას და მჭიდროდაა დაკავშირებული ევოლუციის თეორიასა და გენეტიკასთან, აგრეთვე ფიზიოლოგიასთან, ბიოქიმიასთან, მათემატიკასთან და ქმნის მეცხოველეობაში სანაშენე-სასელექციო მუშაობის თეორ. საფუძველს. მას ხშირად სანაშენე საქმის თეორიასაც უწოდებენ, თავად სანაშენე მუშაობა კი ნახირის პროდუქტიულობის ბრდისკენ მიმართული ბოლოტეჩ.-ორგანიზაციულ ღონისძიებათა კომპლექსია, რ-თაგან უმთავრესია საუკეთესო ცხოველთა გადარჩევა, მშობელთა წყვილების სწორად შერჩევა, მოზარდულის სწორად გამოზრდა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში ხაზთაშორისი, ჯიშთაშორისი შეჯვარება და სახეობათაშორისი ჰიბრიდიზაცია.

მ. ს.-ს.ც.-ის საკითხებზე ცოდნის ელემენტები ჩაისახა შორეულ წარსულში, სას.-სამ. ცხოველთა შემოჩვევა-მოშინაურების პერიოდში. ამ მიმართულებით შემუშავებულ მეთოდებსა და ხერხებზე ცნობებმა ჩვენამდე მოაღწია ძველბერძნული (მ. ვარონი, ქსენოფონტე, ჰიპოკრატე და სხვ.), აგრეთვე შუა საუკუნეების წერილობითი წყაროებით. განსხვავებულმა მიდგომებმა საფუძველი დაუდო ცხოველთა სამეურნეო-ბიოლ. და მორფოლ. ცვლილებებს, რამაც განაპირობა სხვადასხვა პროდუქტიული მიმართულების ათასობით ჯიშის ჩამოყალიბება.

მ. ს.-ს. ც-ის განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია *ჩ. დარვინის* ნაშრომებმა. მან დაასაბუთა ხელოვნური გადარჩევის როლი ცოცხალი ორგანიზმის ევოლუციასა და ჯიშების ჩამოყალიბებაში, რაც აისახა ცნობილი ბრიტანელი სელექციონერების – *რ. ბეკველისა* და *ძმების, რ. და ჩ. კოლინჯების* ნაშრომებში. ამ პერიოდს (XVIII ს. I ნახ.) „ევროპის მეცხოველეობის ოქროს ხანა“ ეწოდა. საინტერესო სამეცნ. კვლევა ჩაატარეს უ. დიუისატმა, გ. ბედეგასტმა, ვ. ნათუზიესმა, ს. რაიტმა, ჯ. ჰემონდმა, ჯ. ლამმა და სხვ.

საქართველოში 1923 თსუ-ის აგრონ. ფაკ-ტზე ნ. პ. *იოსელიანმა* დააარსა ცხოველთა მომშენებლობისა და გენეტიკის კათედრა. მოგვიანებით ამ მიმართულებით სამეცნ.-კვლ. მუშაობა გაიშალა ზოოტექნ.-სავეტერინარო და სას.-სამ. და სასწ.-კვლ. ინ-ტებში. მათი შესწავლის საგანია: 1. ცხოველთა წარმოშობის, შერჩევა-მოშინაურებისა და ევოლუციის თავისებურებანი; 2. ცოცხალი ორგანიზმის ზრდა-განვითარების კანონზომიერებანი და მისი მართვის მეთოდები; 3. მოძღვრება ცხოველის სხეულის აგებულებაზე (კონსტიტუცია, ექსტერიერი და ინტერიერი); 4. ცხოველთა პროდუქტიულობის სახეები და მათი შეფასების პრინციპები; 5. ცხოველთა გადარჩევა, მიზანმიმართული შერჩევა და მონაშენის ხარისხის შეფასება, როგორც წინაპრებზე უკეთესი შთამომავლობის მიღების საშუალება და ჯიშების სრულყოფის მნიშვნელოვანი ფაქტორი; 6. მოძღვრება ცხოველთა ჯიშებზე, როგორც ადამიანის მიერ გამოყვანილ სას.-სამ. ცხოველთა მონესრიგებულ ჯგუფზე; 7. ცხოველებთან სანაშენე მუშაობის სისტემები და მათი მოშენების მეთოდები სახეობრივ-ჯიშობრივი კუთვნილების გათვალისწინებით.

ქართვ. მომშენებელთა პრაქტიკული მიღწევების შედეგია ხალხური სელექციით მიღებული ჯიშები: ქართული მთის ძროხა, *კახური ღორი*, იმერული და თუშური ცხვარი, *მეგრული თხა*, თუშური და მეგრული ცხენი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილი მეჯოგეების, ძმები კვარაცხელიების წვლილი. მათი გამოყვანილი (XIX ს.) ძროხის *მეგრული წითელი ჯიში* სელექციური ერთტიპურობით გამოირჩევა.

XX ს. II ნახ-ში ქართველმა სელექციონერებმა გამოიყვანეს ცხვრის 2 (დ. ნატროშვილი, ი. ბაძოშვილი), ძროხის 1 (ნ. კ. *გოცირიძე*), ინდაურის 1 (ნ. ანთაძე) და აბრეშუმის ჭიის 30 (ნ. ჭავჭავანიძე, ა. ძნელაძე, ნ. სანაძე, ა. გიორგაძე, შ. ღვინეფაძე, ნ. ბარამიძე და სხვ.) ჯიში, აგრეთვე 20-ზე მეტი სამრეწველო ჰიბრიდი.

ლიტ.: გოცირიძე ნ., რძისა და ძროხის ხორცის წარმოების ტექნოლოგია, თბ., 1997; მიჩიტაშვილი რ., ცხოველთა მომშენებლობა, თბ., 2010; ჯორჯიკია გ., სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა გადარჩევა, შერჩევა და მოშენების მეთოდები, თბ., 1928.